ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 2

ქ. თბილისი 2023 წელი

ერთის მხრივ, სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“ (შემდგომში - „შემსყიდველი“), სამხატვრო ხელმძღვანელის ბაჩანა ჭანტურიას სახით და მეორეს მხრივ შპს „გორგია“ მისი დირექტორის მინდობილი პირის თამარ ჯავახიშვილის სახით (შემდგომში “მიმწოდებელი“), ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის დასახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს # 13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-2 მუხლის ‘ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით,, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით ან/და სატენდერო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

1.4. საქონელი - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.5 შემსყიდველი- ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს შესყიდვას ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

1.6. მიმწოდებელი - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს მომსახურების გაწევას/საქონლის მოწოდებასხელშეკრულების პირობების მიხედვით.

1.7 მხარეები - შემსყიდველი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას და მიმწოდებელი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

1.8. „ინსპექტირება“ –„ხელშეკრულების“ პირობების შესრულების კონტროლი.

მუხლი 2.ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: **მცირეფასიანი შესაღები მასალებისა და მოწყობილობების შესყიდვა.**

CPV კოდი: CPV 24200000, 39200000, 44100000, 44200000, 44500000, 44800000.

2.2. შესყიდვის ობიექტია:

#	CPV კოდი	შესყიდვის ობიექტი	განზომილების ერთეული	რაოდენობა / მოცულობა
1	CPV 44514100	ლილვაკის სახელური 25 სმ-იანი	ცალი	3
2	CPV 39221140	სამღებრო თასი პლასტმასის 32X 36 სმ	ცალი	3
3	CPV 44512000	ლილვაკი “Color expert” წყლოვანი საღებავისთვის 25 სმ 60 მმ	ცალი	3
4	CPV 44242000	ქაღალდის წებვადი ლენტი (საშუალო სისქის) 48 მმ 50 მ (60° C)	ცალი	3
5	CPV 39224210	ფუნჯი შერეული ბეწვით, პლასტმასის სახელურით -70 მმ (სისქე 12 მმ)	ცალი	3
6	CPV 44512000	ლილვაკი გუბკის 11 სმ-იანი “Color expert”	ცალი	2
7	CPV 44512000	ლილვაკი ლაქისთვის და სინთეტიკური საღებავისთვის “Color expert” 11 სმ	ცალი	4
8	CPV 39224210	ფუნჯი შერეული შავი ბეწვით, პლასტმასის სახელურით -40 მმ (სისქე 6 მმ)	ცალი	2
9	CPV 44810000	საღებავი ექსტერიერის , სილიკონითKONAK 20 კგ	ცალი	12
10	CPV 24221000	კოლორექსი (საღებავის ფერი)100 მლX90 (00209)	ცალი	6
11	CPV 44810000	საღებავი ხისა და მეტალისთვის 2,5 ლტ ‘SILVER” – 8926 (ღია ყავისფერი)	ცალი	2
12	CPV 44832200	გამხსნელი სინთეტიკური 0.64 ლტ	ცალი	11
13	CPV 44514100	ტელესკოპიკური ჯოხი ალუმინის 115-200 სმ	ცალი	2
14	CPV 44111200	წებოცემენტი პლატინიუმ სტანდარტი ყინვაგამძლე	ცალი	10

მუხლი 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა **2020,93** (**ორიათასოცი ლარი და 93 თეთრი)** ლარი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

3.2. შესასყიდი საქონლის ერთეულის ფასი შეადგენს:

#	CPV კოდი	შესყიდვის ობიექტი	განზომილების ერთეული	რაოდენობა / მოცულობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ღირებულება (ლარი)
1	CPV 44514100	ლილვაკის სახელური 25 სმ-იანი	ცალი	3	7,45	22,35
2	CPV 39221140	სამღებრო თასი პლასტმასის 32X 36 სმ	ცალი	3	9,60	28,80
3	CPV 44512000	ლილვაკი “Color expert” წყლოვანი საღებავისთვის 25 სმ 60 მმ	ცალი	3	28,70	86,10
4	CPV 44242000	ქაღალდის წებვადი ლენტი (საშუალო სისქის) 48 მმ 50 მ (60° C)	ცალი	3	9,75	29,25
5	CPV 39224210	ფუნჯი შერეული ბეწვით, პლასტმასის სახელურით -70 მმ (სისქე 12 მმ)	ცალი	3	6,65	19,95
6	CPV 44512000	ლილვაკი გუბკის 11 სმ-იანი “Color expert”	ცალი	2	11,00	22,00
7	CPV 44512000	ლილვაკი ლაქისთვის და სინთეტიკური საღებავისთვის “Color expert” 11 სმ	ცალი	4	4,40	17,60
8	CPV 39224210	ფუნჯი შერეული შავი ბეწვით,	ცალი	2	4,40	8,80

		პლასტმასის სახელურით -40 მმ (სისქე 6 მმ)				
9	CPV 44810000	საღებავი ექსტერიერის , სილიკონითKONAK 20 კგ	ცალი	12	109,99	1319,88
10	CPV 24221000	კოლორექსი (საღებავის ფერი)100 მლX90 (00209)	ცალი	6	3,80	22,80
11	CPV 44810000	საღებავი ხისა და მეტალისთვის 2,5 ლტ 'SILVER" – 8926 (ღია ყავისფერი)	ცალი	2	66,6	133,20
12	CPV 44832200	გამხსნელი სინთეტიკური 0.64 ლტ	ცალი	11	21,2	21,20
13	CPV 44514100	ტელესკოპიკური ჯოხი ალუმინის 115-200 სმ	ცალი	2	33,5	67,00
14	CPV 44111200	წებოცემენტი პლატინიუმ სტანდარტი ყინვაგამძლე	ცალი	10	22,2	222,00
სულ						**2020,93**

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, დიდუბე: წერეთლის # 140.

4.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტი მიწოდებული იქნება შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღის ვადაში 2023 წლის 10 თებერვლამდე.

მუხლი 5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1 მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობისა და ხარისხის მქონე საქონელი;

5.1.2. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

5.1.3. უზრუნველყოს შემსყიდველისათვის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონლის მიწოდება;

5.1.4. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია შემსყიდველს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

5.2.2. მოსთხოვოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია:

5.3.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.4.1.საქონლის მიღება/ჩაბარების დროს ჩაატაროს შემოწმება/კონტროლი მიწოდებული საქონლის ხარისხის და რაოდენობის ხელშეკრულებასთან და მასში განუყოფელ ნაწილად შემავალ დოკუმენტებთან შესაბამისობის დასადგენად.

5.4.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

5.5. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება ხელშეკრულებასთან შესაბამისობაში და შესყიდული საქონელი მისი ექპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზისა და დაზიანების გამოსწორება.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. „მიმწოდებელის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისპირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „აფხაზეთის" სამხატვრო ხელმძღვანელი ბაჩანა ჭანტურია.

7.2.. კონტროლის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება), ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას კონტროლის განხორციელების დროს.

7.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, ხილვადი დეფექტის ან/და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, საამისოდ უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ზეპირსიტყვიერად ან/და წერილობით მიმწოდებელს აღმოჩენილი დეფექტის, ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს ნაკლის, დეფექტის გამოსწორება ან საქონლის შეცვლა.

7.4. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია განახორციელოს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე განსაზღვრულ ვადაში, გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი.

7.5. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

მუხლი 8. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

მუხლი 9. ანგარიშწორების პირობები

9.1. .ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდების თაობაზე მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებიდან ან/და მიმწოდებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.2. დაფინანსების წყარო: **საკუთარი შემოსავლები.**

9.3. ანგარისწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

9.3.1. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

9.3.2.ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;

9.3.3. მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის, თუ შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

10.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების

მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში „ხელშეკრულების“ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე, შეტყობინების ყველა შესაძლო საშუალებით, უნდა გაუგზავნოს ინფორმაცია მეორე მხარეს, ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით, აგრძელებს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

მუხლი 11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. საქონლის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2% ოდენობით.

11.2. აღმოჩენილი დეფექტის, ნაკლის გამოსწორებისათვის ან/და შეცვლისათვის მიმწოდებელმა თუ გადააცილა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულების საერთო ვადას, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 % ოდენობით.

11.3. ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების5% ოდენობით.

11.4. სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება „ხელშეკრულების“ პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

12.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

მუხლი 13. დავების გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ კანონით დაშვებული სხვა მოქმედებები დავის გადაწყვეტის მიზნით ან/და მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ვალდებულებების შესრულებას, ასევე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 15. სხვა პირობები

15.1.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

15.2. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.3. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ მისი კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“	**შპს „გორგია“**
საიდენტიფიკაციო კოდი: 249253873 მისამართი: ქ. თბილისი უზნაძის ქ.#68 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა ბ. კოდი TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022 სამხატვრო ხელმძღვანელი ბაჩანა ჭანტურია Bachana Chanturia 62003015167 Digitally signed by Bachana Chanturia Date: 2023.02.02 23:13:22	საიდენტიფიკაციო კოდი: 245621288 მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი # 140 საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ თიბისი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22 GE62TB1007536020100008 დირექტორის მინდობილი პირი თამარ ჯავახიშვილი Tamar Javakhishvili 01011096225 Digitally signed by Tamar Javakhishvili Date: 2023.02.04 12:13:16